

საქართველო კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი №31, 24 ივლისი, 1997, გვ.1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 33¹ მუხლი:

„მუხლი 33¹ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის გაუქმება

1. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მას ხარვეზების გამოსწორებისათვის ეძლევა ხარვეზის აღმოჩენიდან 3 თვის ვადა. თუ ხარვეზები ამ ვადაში არ იქნება გამოსწორებული, რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს. ამისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა უღებამოსილმა ორგანომ ან/და დაინტერესებულმა პირმა ხარვეზების გამოსასწორებლად დადგენილი 3 თვიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ უნდა მიმართოს სასამართლოს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

2. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის გაუქმებამდე შეცდომით რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ითვლება უშეცდომოდ რეგისტრირებულად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი